

საქართველო - ყველგვარს ყოველსა!
გაგაერთიანო

ახალგორი

ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი

№11(103)

ნოემბერი
2022 წელი

გამოდის თვეში ერთხელ

პარლამენტმა ინტერპელაციის წესით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მოუსმინა



18 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ინტერპელაციის წესით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მოუსმინეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა საპარლამენტო ოპოზიციის წევრების: გიორგი ვაშაძის, პაატა მანჯგალაძის, თეონა აქუბარდიას, ხათუნა სამნიძის, ტარიელ ნაკაიძის, თამარ კორძაიას, როსტომ ჩხეიძისა და ნატო ჩხეიძის საინტერპელაციო კითხვებს უპასუხა.

პრემიერ-მინისტრმა თითოეულ კითხვაზე პასუხი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვიერად გამოსვლამდე წერილობითი ფორმით წარუდგინა პარლამენტს.

გაბრძელება მე-2 გვერდზე



ლეილა ხარუკაშვილი
საპარლამენტო პარლამენტის პროვულა ბიბლიოთეკაში მუშაობის სიბეჭით დააჯილდოვა



თორნიკე შალვაშვილი
საყოველთაო საბავშვო ინცივილიზაციის სკოლის

4



ამერიკელი «მადლიერების დღე» წერსოვანო

3

25 ნოემბერი ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეა. ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით.



შეპყრობით ქალთა მიმართ ძალადობა

დასასრული მე-6 გვერდზე



მანია კავლიაშვილი: „ყოველ საქმეს მხოლოდ სიყვარული ამშვენებს“

5



ხათუნა ბათიანაშვილი: „ნარკოტიკების მისაღწევად ნებისმიერ თანამედროვე უნდა გადავად“



ნათია პელტაშვილი: „ჩემი გეგმები მაინც ახალგორს უკავშირდება“

2

საპარლამენტო მთავრობის ახალი კანონპროექტით, ეტაპობრივად გაიზარდება მუნიციპალიტეტების შემოსულობები მათ ტერიტორიაზე არსებული მიწების განაჯილდოვან

საქართველოს მთავრობის ახალი კანონპროექტით, ეტაპობრივად გაიზრდება მუნიციპალიტეტების შემოსულობები მათ ტერიტორიაზე არსებული მიწების განკარგვიდან

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, 21 ნოემბერს მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც მინისტრთა კაბინეტის წევრებმა 12 საკითხი განიხილეს.

განსახილველ საკითხთა შორის იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმით პრივატიზების შესახებ კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც **კიდევ 123 დევნილი ოჯახი საცხოვრებელ ბინებს საკუთრებაში მიიღებს.** საცხოვრებლები თბილისში, ზუგდიდში, გორში, ქუთაისში, წყალტუბოში, მცხეთაში, ბათუმში, ახალციხეში, ხობში, მარტვილში, სენაკში, წალენჯიხაში, ფოთში, ჩხორონწყუში, ქობულეთში, გურჯაანში, თეთრიწყაროში, გარდაბანში და ხაშურში მდებარეობს.

ამასთან, მთავრობის წევრებმა განიხილეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც, **ეტაპობრივად გაიზრდება მუნიციპალიტეტის შემოსულობები მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების განკარგვიდან.** ასევე, კანონპროექტით გადაიხედება შემოსულობების პროცენტული განაწილება ქონებასთან მიმართებაში, იმისათვის რომ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტმა მიიღონ დამატებითი შემოსავალი ქონებიდან, რომელიც არის მათ ტერიტორიაზე.

სხდომაზე განიხილეს ასევე კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ხაშურის სრული წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების მშენებლობის პროექტზე სამუშაოები იწყება.

პროექტის სრული ღირებულება დაახლოებით 225 მილიონი ლარია და მის ფარგლებში, 5 წლის განმავლობაში, მოეწყობა დაახლოებით 160 კმ წყალმომარაგების მილი, დაახლოებით 45 კმ წყალარინების ქსელი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, რეაბილიტაცია ჩაუტარდება და განვითარდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, რეზერვუარები და ა.შ. პროექტის დასრულების შემდეგ, 24 000 ბენეფიციარი გამართული წყალმომარაგებით ისარგებლებს.

პარლამენტმა ინტეგრალური წესით პრაიმერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მოუსმინა



პირველი ბპერდიან

კითხვები საქართველოს მთავრობის მხრიდან ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებასა და ევროკომისიის მიერ დაწესებული 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესასრულებლად განეულ სამუშაოებს, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ განცხადებებს და საქართველოს ენერგორესურსებს ეხებოდა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ევროკომისიის მიერ დაწესებული 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესასრულებლად მუშაობა პარლამენტში ინტენსიურად მიმდინარეობს, თუმცა, სამუშაო ჯგუფების შეხვედრებს ოპოზიციის წარმომადგენლების გარკვეული ნაწილი არ ესწრება.

„მას შემდეგ, რაც ევროპულმა საბჭომ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება და ქვეყანას მიენიჭა ევროპული პერსპექტივა (და ეს მართლაც იყო ისტორიული გადაწყვეტილება), პარლამენტის უმრავლესობა, ჩვენი გუნდის ლიდერები გამოვიდნენ ინიციატივით, წარადგინეს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ და რა ვადებში ვასრულებთ 12 რეკომენდაციას. თითოეულ რეკომენდაციაზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და ჩვენ, ყველამ ერთად, მათ შორის, მეც განვაცხადეთ, რომ მზად ვართ, კარი გავუღოთ ჩვენს ოპონენტებს, მედიის წარმომადგენლებს, არასამთავრობო სექტორს, ყველას, ვინც რეალურად დაინტერესებულია, რომ ქვეყანამ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. პასუხად მივიღეთ ის, რასაც თქვენ აკეთებდით 10 წლის განმავლობაში: საბოტაჟი და დესტრუქცია, პროვოკაციები, რაც არ ემსახურება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, მთავარი გამოწვევა დეპოლარიზაციაა, თუმცა მისივე შეფასებით, ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ამის საპირისპიროდ იქცევა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, 10 წელიწადში ხელისუფლებამ ხელი მოაწერა: ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალ ვაჭრობას, უვიზო რეჟიმს.

„ახლა უკვე, ამ ახალი რეალობის გათვალისწინებით, დაჩქარდა რეალურად ჩვენ მიერ ისედაც გაცხადებული პროცესი და შევიტანეთ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი და ქვეყანას მიენიჭა ევროპული პერსპექტივა,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, მას შემდეგ, რაც წინა ხელისუფლების

დასასრული მმ-4 ბპერჯან



ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
 კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
 mail: gazeti.akhalgori@gmail.com

ღვანელობის ბიბლიოთეკარი

ქალბატონი ლეილა ძერყორაშვილი, უკვე ათეული წლებია, საბიბლიოთეკო სისტემაში მუშაობს. ის ჯერ ახალგორის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელი იყო, 2008 წლის ომის შემდეგ კი წეროვანშიც საყვარელი საქმე განაგრძო ერთგულად. განათლებული, გულისხმიერი და ყურადღებიანი თანამშრომლის, ახალგორის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის მეთოდური გაერთიანების უფროსის ქალბატონ ლეილა ძერყორაშვილის ღვანლი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ახლახან იგი მადლობის სიგელით დაჯილდოვდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ საბიბლიოთეკო საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ვულოცავთ ქალბატონ ლეილას ღვანლის დაფასე-




ბას და კვლავაც მკითხველთა სიმრავლეს, საყვარელი საქმის ხანგრძლივ სამსახურს ვუსურვებთ.

ამერიკული «მადლიერების დღე» ზეპირიდან


24 ნოემბერი მადლიერების დღეა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მადლიერების დღეს, ტრადიციულად, იკრიბებიან ოჯახის წევრები და მეგობრები, მადლიერებით იხსენებენ ყოველივე კარგს, რაც გავლილი წლის მანძილზე შეემთხვათ.




"მე მადლიერი ვარ რომ მყავს კარგი ოჯახი, მაქვს განათლების უფლება, მაქვს სახლი, ბევრი წიგნები, რომ ვარ ჯანმრთელი.."



"მე მადლიერი ვარ რომ მყავს ძალიან კარგი მასწავლებლები, ოჯახი, მეგობრები. მაქვს სახლი, რომელშიც ვცხოვრობ ჩემს საყვარელ ოჯახთან ერთად."



"მე ვარ მადლიერი, იმიტომ რომ დედამინამე არის ბევრი კეთილი ადამიანი, რომლებიც ეხმარებიან გაჭირვებულ ადამიანებს და ცხოველებს. ვარ მადლიერი რომ მყავს სიკეთით სავსე ოჯახი.."



"მე მადლიერი ვარ რომ რუსებმა ბოლომდე არ ჩაქვეს ჩემი ახალგორი, აქ მშვიდობა არის და ჯანმრთელები არიან ჩვენი საყვარელი ხალხი.."

მადლიერების დღე – დღესასწაული, რომელსაც უმეტესად შეერთებულ შტატებსა და კანადაში აღნიშნავენ. ტრადიციულად, მას ზეიმობენ მოსავლის აღების შემდეგ ღვთისადმი მადლიერების ნიშნად. მიუხედავად რელიგიური წარმომავლობისა, ამჟამად მადლიერების დღე საერო დღესასწაულად ითვლება. მადლიერების დღე კანადაში აღნიშნება ოქტომბრის მეორე ორშაბათს, ხოლო შეერთებულ შტატებში ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათს.

წეროვანში მადლიერების დღე Bookmobile-თან ერთად აღნიშნეს ბავშვებმა. ამ დღეს Bookmobile-ს ეწვია ამერიკის საელჩოს თანამშრომელი და მასპინძლებს საინტერესოდ ესაუბრა მადლიერების დღეზე. შემდეგ თითოეულმა ბავშვმა წარადგინა პრეზენტაცია მადლიერების დღის მნიშვნელობის შესახებ. ფოტოებზე ხედავთ იმ ძირითად გზავნილებს, რომლებიც ბავშვებმა მადლიერების დღესთან დაკავშირებით მოამზადეს.

პარლამენტმა ინტერპელაციის წესით პრაიმერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მოუსმინა

მე-2 ბპერლიდან

სისტემა დაამსხვრია „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, „ქართული ოცნების“ გუნდმა ევროინტეგრაციის გზაზე ყველაზე მეტი გააკეთა.

„კითხვა შეეხებოდა იმას, თუ რა გააკეთა მთავრობამ იმისთვის, რომ ქვეყანას მიეღო კანდიდატის სტატუსი და როგორია ჩვენი მოლოდინები, რას ვაკეთებთ ახლა და როგორ სრულდება თორმეტივე რეკომენდაცია - მინდა მანამდე ყველას შევახსენო, რომ მას შემდეგ, რაც 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით დაამსხვრია ის მახინჯი სისტემა, ფსევდოდემოკრატიული და რეალურად თავისი შინაარსით, გამოხატვის ფორმებით და მმართველობის სტილით აბსოლუტურად დეგრადირებული, ავტოკრატიული, დიქტატორული რეჟიმი, ჩვენმა გუნდმა ამ გზაზე, რასაც ჰქვია ევროინტეგრაციის გზა, ყველაზე მეტი გააკეთეთ მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა აღადგინა. მინდა რამდენიმე კონკრეტული მაგალითი შევახსენო ჩვენს ოპონენტებს: პირველი მთავარი დოკუმენტი, რაც არის გზამკვლევი და სახელმძღვანელო, ეს არის ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც დაგვიანებით გადმოეცა საქართველოს. 3 წლის დაგვიანებით დაიწყო რეალურად მოლაპარაკებები წინა ხელისუფლებამ ანუ ბატონი ვაშაძის და მისი თანაგუნდელების ხელისუფლებამ. ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა მხოლოდ მას შემდეგ გადმოეცა საქართველოს, რაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში. ესეც დაგვიანებით დაიწყო წინა ხელისუფლებამ. რეალურად, ამ 10 წელიწადში ჩვენ მოვანერეთ ხელი ასოცირების შეთანხმებას, თავისუფალ ვაჭრობას, უფიზო რეჟიმს და ახლა უკვე, ამ ახალი რეალობის გათვალისწინებით, დაჩქარდა რეალურად ჩვენ მიერ ისედაც გაცხადებული პროცესი და შევითანეთ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი და ქვეყანას მიენიჭა ევროპული პერსპექტივა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და აღნიშნა, ოპოზიციამ ისტორიულ გადანყვეტილებამდე 2 კვირით ადრე ევროპარლამენტს ქვეყნისთვის საწინააღმდეგო გადანყვეტილება მიაღებინა.

„ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანას კანდიდატის სტატუსი მიეღო, თქვენ კი ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ კანდიდატის სტატუსი არ მიგვეღო. ეს იყო შეთქმულება, ეს არის საბოტაჟი საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. ამის თანამონაწილენი ხართ ყველანი. ასევე, შეგახსენებთ ევროპარლამენტის რეზოლუციას, რომელიც იყო ანტიქართული, სამარცხვინო და უსამართლო. მაშინ, როდესაც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ევროპულ საბჭოს უნდა მიეღო ისტორიული გადანყვეტილება და ჩვენ არ ვიცოდით მოგვცემდნენ თუ არა სტატუსს, რა უნდა გაეკეთებინა პატრიოტ მოქალაქეს, მით უმეტეს, პოლიტიკოსს? რა მნიშვნელობა აქვს, ოპოზიციამ არის თუ პოზიციამ, თუ მას შეუძლია რაღაც წვლილი შეიტანოს. ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რომ ეს სტატუსი ჩვენც მიგვეღო ავანსად. როგორ მოიქცა ჩვენი ძვირფასი ოპოზიცია? ყველაფერი გააკეთეს, მათ მთავარ ლობისტებთან ერთად დაარწმუნეს ევროპარლამენტარ წევრთა უმრავლესობა, ამ შემთხვევაში, მათი

დედა-პარტიის, „ევროპის სახალხო პარტიის“ უმრავლესობა, სხვა პარტიების წარმომადგენლებიც და ევროპული საბჭოს ისტორიული გადანყვეტილებამდე 2 კვირით ადრე მიაღებინეს ქვეყნისთვის საწინააღმდეგო გადანყვეტილება. პირდაპირ ლანგრით მიართვეს მიზეზი სკეპტიკურად განწყობილ ქვეყნებს, გარკვეულ ინტერესთა ჯგუფებს იმისთვის, რომ დაესაჯათ საქართველო, გამოეყოთ ამ ჯგუფიდან“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ოპოზიციას ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებული მოვლენები შეახსენა.


„გამაოგნებელი იყო თქვენი ქცევა და რეაქცია, როცა ევროკომისარი ოლივერ ვარჰეი იყო ჩამოსული. ჩვენი ქვეყნის და ქართველი ხალხის ნამდვილი მეგობარი. კაცი ბრიუსელიდან კონკრეტული გზავნილით ჩამოვიდა. ყველას შევახსენებ, რომ ევროკომისარი გაფართოების საკითხებში არ არის უბრალოდ ევროპარლამენტარი ან რიგითი ბიუროკრატი, ის არის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი და ჩვენ ვნახეთ, როგორ დაესხა თავს მთელი დესტრუქციული ოპოზიცია რადიკალური ფორმითა და გამოხატვით და როგორი შეურაცხყოფა მიაყენეს ადამიანს, რომელმაც ჩამოიტანა პოზიტიური გზავნილი და პოზიტიური შეფასება გააკეთა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის პასუხების შემდეგ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დებატები გაიმართა.

დებატების ფორმატში, რეგლამენტის შესაბამისად, უფრაქციო პარლამენტის წევრებმა, პოლიტიკური ჯგუფების, საპარლამენტო ოპოზიციისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებმა მოსაზრებები გამოთქვეს.

საუკეთესო სთამო ინისიატივა წარკვანში

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სათემო ლიდერთა ფორუმის ყოველწლიურ „საუკეთესო სათემო ინიციატივების“ კონკურსში მონაწილეობა სხვადასხვა



ჯგუფებმა მიიღეს, რომლებიც საკუთარ სოფელსა თუ თემს უკეთესობისკენ ცვლიან. CSRDG-სა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ თითოეული მათგანი დაჯილდოვდა. მათ შორის არის **თორნიკე**, რომელიც გუნდთან ერთად წეროვანის დასახლებაში, მიუსაფარ ცხოველებს ეხმარება.

მანია პავლიაშვილი: „ყოველ საქმეს მხოლოდ სიყვარული ამუშავებს“



არიან ადამიანები, რომლებით თავიანთი ცხოვრებით, შრომით, საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობითა და საკეთებელი საქმის სიყვარულ-ერთგულებით გამოირჩევიან... ასეთია ქალბატონი მანია პავლიაშვილი, რომელმაც თითქმის მთელი ცხოვრება ობოლ და მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან გაატარა, როგორც მათმა დიდმა მეგობარმა, დედასავით ახლობელმა აღმზრდელმა...

მანია პავლიაშვილმა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაამთავრა ცხინვალის პედაგოგიური ტექნიკუმი. იმ დროს ეს ტექნიკუმი სამუშაოდაც ანაწილებდა კურსდამთავრებულებს და ახალგაზრდა გოგონაც სოფელ ხოზუეთში გაანაწილეს სამუშაოდ. სოფელ დოჩიანში ცხოვრობდა მისი ოჯახი, სადაც 7 დედამამიშვილი იზრდებოდა, ერთმანეთზე მიყოლებულები... ჩვენი საუბარიც ბავშვობიდან დავიწყეთ...

– 87 წლის ვარ.... თურმე ძალიან ჩქარა გარბის დრო.... გული მართლა არ ბერდება, მაგრამ ასაკზე დიდი მტერი არ ჰყოლია ადამიანს (იციინის). ხან არც კი მჯერა, 90-ს რომ ვუახლოვდები. გუშინდელივით მახსოვს ახალგაზრდობის, ბავშვობის წლები... დღევანდელ თაობასთან შედარებით ცა და დედამინასავით განსხვავებული ბავშვობა გვექონდა... სოფლად ცხოვრება სოციალური პირობების ნაკლებობასაც განსაზღვრავდა. თუმცა მშობლებმა პატარაობიდანვე მიგვაჩვიეს შრომას, დამოუკიდებლობას, პასუხისმგებლობას, უფროს-უმცროსობას. პირუტყვი, ფრინველი

ძაღვების უკონტროლო გამრავლება, გადამდები დაავადებები, ანტისანიტარია, ადამიანების მხრიდან სასტიკი მოპყრობა – იმ პრობლემების არასრული სიაა, რის წინაშეც წეროვნის დევნილთა დასახლების ძაღვები ყოველდღიურად დგანან.

წეროვნის საინიციატივო ჯგუფმა სწორედ ამ პრობლემასთან ბრძოლა გადანყვიტა და ამ ყველაფრის სათავე სწორედ ოთხფეხა მეგობრების დიდი სიყვარული იყო. მათ მოახდინეს 40 მიუსაფარი ძაღლის სტერილიზაცია, უმკურნალებს მათ და საკვები პუნქტებიც დაუმონტაჟეს. ამასთან ერთად, თორნიკემ და მისმა გუნდმა, მიუსაფარი ცხოველების პრობლემების შესახებ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზეც იზრუნეს. წეროვნის საინიციატივო ჯგუფმა CSR DG-სა და კრედო ბანკისაგან ფულადი მხარდაჭერა მიიღო, რითიც მიუსაფარი ცხოველების დახმარებას გააგრძელებენ.

ფორუმი გაიმართა პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის“ ფარგლებში, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერით.

ფორუმს ასევე მხარს უჭერდნენ: UNDP Georgia, Embassy of Sweden in Tbilisi, Brot für die Welt, University of Birmingham.

გვეყავდა, სათიბ-სათესი გვექონდა... მშობლებს ვეზმარებოდით საოჯახო საქმეებში. გზებიც არ იყო და სკოლაში ფეხით დავდიოდით, ხალისით, ჟრიამულით, ზამთარში გათოშილები, მაგრამ სწავლის სურვილი დიდი გვექონდა მე და ჩემს და-ძმებს და საერთოდ ჩვენს თაობას. წიგნების კითხვა გვეყვარდა, ერთმანეთსაც ვუამბობდით წაკითხულს, დიდ დროს ბუნებაში ვატარებდით, ვთამაშობდით, ტყის ხილს ვაგროვებდით. ტექნიკუმი რომ დავამთავრე, დოჩიანიდან ხოზუეთში ფეხით მივდიოდი სკოლაში... შიში შემეპარებოდა ხოლმე ნადირის... მაშინ ტყე-ტყე უნდა გამეველო... ჩემი ძმა მესამე კლასში იყო და წინ გავიმძღვარებდი ხოლმე, ხან ხელჩაკიდებულები მივდიოდით. მაინც მარტო არ ვგრძნობდი თავს... 1 თვე იყო გასული, ახალგორის რაიონული ცენტრიდან განათლების ინსპექტორი ამოვიდა სკოლაში შემოწმებაზე... პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასის ბავშვები ერთ კლასში მეცადინეობდნენ, ბავშვების სიმცირის გამო. ერთ გაკვეთილზე ყველა ბავშვი უნდა ყოფილიყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში... ახალგაზრდა ვიყავი, ხალისიანი, ჩემი საქმეც ძალიან მიყვარდა...



დამსწრეს მოეწონა ჩემი გაკვეთილი და ბალანის სკოლაში გადამიყვანეს სამუშაოდ, ხოზუეთში კი მამაკაცი გაგზავნეს. 9 წელი ვიმუშვე ბალანში. მერე ახალგორში ჩამოვედი, სიყვარულით შევექმენით ოჯახი. ჩემი მეუღლე, არკადი ამირანაშვილი სამხედროს ასწავლიდა ახალგორის საბავშვო სახლში, მეც იქ დავიწყე აღმზრდელად მუშაობა.

„ობოლ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლი“ – ასე ერქვა მაშინ...

ბ(ო)რჯ(ო)მში, კვალ(ი)ფ(ი)კაცი – ის ასამაღლებელ კურსებზე

თავიდან ძალიან განვიცდიდი თითოეული ბავშვის ბედს, უმწეობას, სევდიან თვალებს. მათ ხომ ყველაზე ძვირფასი – დედა ენატრებოდათ, ზოგჯერ ყველაფრის მიმართ პროტესტი ჰქონდათ, ხშირად ტიროდნენ კიდევ...

მივხვდი, რომ მასწავლებლობა და აღმზრდელობა კი არა, ხანდახან დედის ფუნქცია მეკისრებოდა... მშობლიური გარემო სჭირდებოდათ ყველაზე მეტად პატარებს... ყოფილა შემთხვევა ძალიან ხშირად, როცა ჩემი პატარა შვილები მიმიტოვებია და მათთან გამიტარებია დღესასწაული, ან ისე, ჩვეულებრივი უქმე დღეები... ძალიან მიყვარდნენ, შვილებივივით... ეს ყალბი ნათქვამი არ არის...

ღასასრული მმ-6 გპირდები

ყოველ სამეს მხოლოდ სიყვარული აგვანებს

მე-5 ბპერდიან

ჩემი ყოფილი მოსწავლეები, ახლა დაოჯახებულები და საზოგადოების ღირესეული წევრები, მოდიან ჩემთან, მკითხულობენ, რას არ იხსენებენ, მაღლიერებას გამოხატავენ... ზოგჯერ ვეღარც კი ვცნობ, მაგრამ ისეთ რამეებს ყვებიან, გავიხსენებ ხოლმე მათ ბავშვობას... რთულია ასეთ მოზარდებთან მუშაობა... 59 წელი ვიმუშვე მათთან... მე თავადაც ისეთი ჩვევები ჩამომიყალიბდა, უიმათოდ ვერ ვძლებდი... სამუშო საათები რომ მთავრდებოდა, სახლში კი არა, ისევ მათთან მეჩქარებოდა ყოფნა... მათ ძალიან ვჭირდებოდი... ასე სიყვარულით გავატარე ეს წლები...

- მკაცრი არ იყავით? არ დაგისჯიათ ბავშვები?

- არა, მკაცრი არ ვიყავი, მაგრამ სამართლიანი ვიყავი... დასჯით არა, მაგრამ თუ გამაბრაზებდნენ, გარეთ აღარ ვუშვებდი ხოლმე, სტადიონზე უყვარდათ ბიჭებს ფეხბურთის თამაში... ზოგჯერ ჩემი შვილების მშობელთა კრებაზე წასასვლელად ვერ ვიცლიდი. ჩემი მოსწავლეების მშობელთა კრებას როგორ გავაცდენდი... მათ საქმეებზე მისული ჩემი შვილების ნიშნებსა და სხვადასხვა ამბებსაც მაშინ ვკითხულობდი...

- ძირითადად რა გვეალებოდათ საბავშვო სახლში?

- სკოლის შემდეგ მათთან უნდა ვყოფილიყავი, სადილი, სისუფთავე, მეცადინეობა... მე მეცადინეობა მევალებოდა, მაგრამ შვილებივითაც დამიბანია, თუ რაიმე გემრიელი მქონდა სახლში, წამილია, მეც საბავშვო სახლში ვცხოვრობდი (იციინის)... მშობელივით ვიყავი... მეგობარიც ვიყავი... ზოგიერთი ბავშვი 8-9 წელი არ მოუკითხია მშობელს, გული სწყდებოდათ, დარდობდნენ, მე ეს დარდი უნდა გამექარებინა... დარდიანი და დათრგუნული ბავშვი ხშირად თავისდაუნებურად ბოროტდება, მიდრეკილება უჩნდება არასასიამოვნო საქმეებისაკენ...

- როგორ ახერხებდით?

- სიყვარულით... მთელ დღეს ჩემთან იყვნენ. შეჩვეულები ვიყავით, საიდუმლოსაც მიმხელდნენ ხოლმე... როცა მოზარდი სიყვარულს და სამართლიანობას გრძნობს მასწავლებლისაგან, ან უბრალოდ უფროსისაგან, მას ენდობა... დღევანდელი გადასახედიდან მე ეს ნდობა მოპოვებული მქონდა... „მანია მას...“ - რომელიმე რომ დამიძახებდა, ხმაზე ვცნობდი, ხანდახან იმასაც ვგრძნობდი, რა უნდა ეთქვათ...

- ახლა, ქალბატონო მანია, განათლების მინისტრად რომ დაგნიშნონ, უპირველესად რას გააკეთებდით?

- დღევანდლობას ცოტა მონყვეტილი ვარ სახლში ყოფნით და ასაკის გამოც... მაგრამ... მინისტრად არავინ დამნიშნავს და არც სურვილი მაქვს, მაგრამ ჩემს კოლეგებს, მასწავლებლებს ერთს ვურჩევ: მეტიად ჩაიხედონ მოზარდის გულში, წინასწარ ჰქონდეთ განსაზღვრული, რა უნდა ბავშვს, რა მისწრაფებები აქვს, რა ანუხებს, რა ახარებს... ნურავინ იფიქრებს, რომ ცუდი ბავშვები არსებობენ, არა, არავითარ შემთხვევაში, არსებობენ ისეთი უფროსები, რომლებსაც არ ესმით მათი, ხელს არ უწყობენ. მე დღესაც სიამოვნებით ვისმენ ცნობილი პედაგოგის და ფსიქოლოგის გაა მურღულიას საუბრებს აღზრდის საკითხებზე... დაავიანა ბავშვმა? არა უშავს, არ დაქცეულა ქვეყანა, ნუ დასჯით, ნუ გალანძლავთ. მოეფერეთ და უთხარით, რომ უიმისოდ არ გინდოდათ გაკვეთილის დან-



მანია კავლიაშვილი ღა-მშობთან ერთად

ყება... ამ სიტბოთი, ასეთი დამოკიდებულებით უფრო დაიახლოვებთ ბავშვს... დღეს ისეთი ინფორმირებული და განათლებული თაობა მოვიდა, რომ რალა უნდა ვურჩიო ჩემს კოლეგებს, გარდა იმისა, რომ თავადაც მუდამ სისტემატურად უნდა იმუშაონ საკუთარი შესაძლებლობების გაფართოებაზე... გაკვეთილის მასალა აღარ არის საკმარისი ბავშვისთვის, ის ზოგადი განათლების მიღებითაც არის დაინტერესებული...

ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია სალად მოაზროვნე, განათლებული თაობის აღზრდა, ქვეყნის სიყვარული უნდა აერთიანებდეთ, ზნეობრივად სუფთა უნდა იყოს მოზარდი...

- რაიმეს ნანობთ?..

- კი... სულ გარეთ უნდოდათ ყოფნა და თამაში და არ ვუშვებდი ხოლმე... რეჟიმი გქქონდა, წესრიგიც აუცილებელი იყო... მხოლოდ განსაზღვრული დრო გქქონდა თამაშისთვის, მაგრამ ბავშვისთვის თამაში და თავისუფლება უმთავრესია...

- დღეს რა გახარებთ?

- უპირველესად - შვილები - კოტე, ბაკური, ნინო, მათი ოჯახები. კარგი რძლები მყავს, კარგი შვილიშვილები... ჩემი ქალიშვილი ნინო, რომელიც კანადაში ცხოვრობს, დროებით, რა თქმა უნდა, ამჯერად აქ არის, - ვირუსი გამირთულდა და ჩამოფრინდა... როგორ დაპატარავდა დედამინა... სწორედ გუშინ კიდევ ერთი დიდი სიხარული მენვია. კარზე კაკუნი იყო. სტუმარი ღვთისაა და ძალიან გამიხარდა, ორი ლამაზი ქალბატონი რომ გვესტუმრა, გაღიმებული, ბედნიერები ჩანდნენ. ვერ ვიცანი... რომ გავიგე, ვინც იყვნენ, სიხარულისგან გული ამიჩუყდა, ცრემლები მომადგა... მათი ბავშვობა დამიგდა თვალწინ... დიდი ბედნიერებაა, როცა შენი ნამონაფარი მოგიკითხავს, მით უმეტეს, ჩემს ასაკში... გაიხსენეს, თურმე გამრავლების ტაბულა არ უყვარდათ და სულ თამაშ-თამაშით მისწავლებია...

როცა ადამიანს ლამაზი მოგონებები აქვს წარსულის, ძალიან კარგია. ანმყო გვილამაზებს სიკეთით და სიყვარულით განვლილი წლები და იმედსაც გვიტოვებს, სიხარულსაც, რომ სწორად გვიცხოვრია, რომ უკან მოხედვის არ უნდა გვეპინოდეს და არც უნდა გვერიდებოდეს... ცხოვრება რამდენჯერმე რომ დავინყო თავიდან, იმდენჯერვე ჩემი საყვარელი ბავშვების გვერდით ვიქნებოდი და არ მოვაკლებდი მშობლიურ ზრუნვას...

შეპირვით ქალთა მიმართ ძალადობა!

პირველი გვერდიდან

კამპანიას მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5000-ზე მეტი ორგანიზაცია აღნიშნავს. კამპანიის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა. საქართველოს მთავრობა უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან კამპანიას, რომელიც ყოველწლიურად 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით იმართება.

საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით კოორდინირებული და კომპლექსური მიდგომით მუშაობას.

მთავრობის დადგენილებით, მიმდინარე წელს დამტკიცდა 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია, რომელიც ქმნის ერთიან ჩარჩოს ქვეყანაში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ეროვნული სისტემისა და ინსტიტუციური დემოკრატიის გასაძლიერებლად.

ეროვნული სტრატეგია, სხვა მნიშვნელოვან პრი-

ორიტეტულ მიმართულებებთან ერთად, მოიცავს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების განმტკიცების საკითხებს და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებს.

გარდა ამისა, მიმდინარე წელს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანობის და შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებების ეფექტიანად გატარების მიზნით, მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინაციით, შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა ცალკე მდგომი „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების“ და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებთა“ 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმები.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დაძლევის აუცილებელი წინაპირობაა საზოგადოების ცნობიერების, მგრძობელობისა და თანამშრომლობის ჩარჩოების გაზრდა.

ომი და ქალები

ლელა ზარიძე

ჩვეულებრივი დღე იყო. არც ცა მოქუფრულიყო და არც ბუნება შავობდა. ქსანზე აგვისტოს თაკარა მზე იდგა... მართლაცადა ცამონმენდილზე ლეხურის მხრიდან საშინელი აფეთქების ხმა გაისმა. მერე ერთი-მეორის მოყოლებით სამხედრო ვეტმფრენებმა გადასერეს ცა. ყველაფერი ჩაშავდა, ჟანგისფერი დაედო მიდამოს, ადამიანები ცრემლიანი, კითხვის ნიშანჩამდგარი თვალებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. მუდამ ხმაურიანმა და მშფოთვარე ქსანმაც ძლივს, მძიმე ამოსუნთქვით, ნაღველამოყოლებით ჩაილულულა: – ომი!.. ომი დაიწყო!..

თვალში საცემი: შიში, ხეებზე დაბუდებული ფრინველი, მოუწველავი აბლაგლებული ნახირი, აყფებულნი ძაღლები, სახელდახელოდ გამოკეტილი ორგანიზაციათა კარები. სასაფლაოებისაკენ, ტყეში გახიზნული მოსახლეობა, ძველ ტანსაცმელში გახვეული, მინაზე, ფოთლებში წოლით დალურჯებული სხეული. მანქანის კოლონების გრძელი რიგი

მდორედ მალა მთისაკენ მიიწედა.

შავოსან მოხუცს ხელი მოეჩრდილა და სწრაფად მიმავალ ხალხს ლოცავდა.

– გწყალობდეთ წმინდა სამების მადლი, გწყალობდეთ!

მოხუცს არავინ ყურადღებას არ აქცევდა, დაზაფრული ხალხი სამების მთისკენ იყურებოდა. მოხუცს გაუკვირდა: რა ხდება? ხალხი რატო ყურადღებას არ მატყვევს, შინაურებიც კი? ეეე... მე სახლში უნდა შემეპატიჟა დააა... ხელი ჩაიქნია და ის იყო, სახლში აპირებდა შესვლას, რომ გორაკზე ამომავალი ტანკი შენიშნა, უცებ გონს მოეგო, „წყეული ომი!“ – ნაღვლიანად ამოიკვნესა და მეზობლის ეზოდანაც ყვირილის ხმა შემოესმა.

– თამრიკო მასწავლებელო, სოფელში ჯარი შემოვ-



იდა. ჩქარა ლორწომის კლდისკენ გავიქცეთ, იქედან დუშეთს გადავალთ! თამარმა მოხუც დედასთან ერთად მეზობლების დახმარებით ტყეს შეაფარა თავი.

„1993 წელს ხომ დამეცა „მეხი“, – ამოიგმინა აფხაზეთის ომში დაღუპული ნუგზარ გვრიტიშვილის დედამ, ლილიმ. – ახლა ამ რვა თვის შვილიშვილს რალა ვუყო ამ უღრან ტყეში?“ პატარა მარიამი ჭირვეულობდა, ვერ აძინებდნენ მანამ, სანამ ლილის უმცროსმა შვილმა ნოდარმა შეღამებისას სოფლიდან ურიკით ტყეში აკვანი არ აუტანა.

ტყეში დიდხანს ყოფნა ვერ შეძლეს, შიოდით, სციოდით, არც მტრად თუ სამოყვროდ ბეტეერებზე ამხედრებული ჯარისკაცების განზრახვა იცოდნენ. ნელ-ნელა სოფელს მოაშურეს მათ, ვინც დუშეთსა თუ სხვა ქალაქებში გადასვლა ვერ მოახერხა.

თამარმაც ჩამოიყვანა დედა სოფელ იკოთში. ღუმელი აუნთო, სახელდახელოდ მომზადებული სადილი მაგიდაზე დაუდგა და სოფელში გავიდა. ჯარისკაცების ყურადღება საკვამურიდან ამოსულმა კვამლმა მაშინვე მიიქცია. მეორე სართულზე ავიდნენ და ანიკო ბებოს პირისპირ აღმოჩნდნენ. ბებოს შიშისაგან გული წაუვიდა. გონს რომ მოეგო, ოთახში მხოლოდ ერთი ჯარისკაცი, შეჭმული ულუფა და ცარიელი ჭურჭელი დახვდა. მოხუცმა ძალა მოიკრიბა, კანკალით წამოდგა, კომოდი გამოაღო და ერთი წყვილი ახალდაქსოვილი წინდა ჯარისკაცს გაუნოდა.

დასასრული 89-10 გვერდიდან

ომით დაზარალებული ქალების ახალი ცხოვრება

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის ფეისბუქგვერდზე გამოქვეყნდა წერილი ახალგორელი ქალების – ხათუნა გათენაშვილისა და ხატია მელთაურის შესახებ, პროექტის – „დევენილი და ომით დაზარალებული ქალების საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მხარდაჭერა მენარმეობის გზით“ ფარგლებში.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი აქტიურად მუშაობს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან, განსაკუთრებით კი ორიენტირებულია ქალების ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

პროექტის ფინანსური მხარდაჭერა ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. პროექტს ახორციელებს ესტონეთის ლტოლვილთა საბჭო და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბი.

ვიმედოვნებთ, რომ ხატიას და ხათუნას გამოცდილება ძალიან ბევრი ქალისთვის იქნება მოტივაციის მიმცემი.

ხათუნა გათენაშვილი: „წარმატების მიღწევისთვის ნებისმიერი ნაბიჯი თამაყად უნდა გადავადგა...“



ხათუნა გათენაშვილი პროფესიით ეკონომისტი. 29 წლის მანძილზე ჯერ ახალგორში, შემდეგ კი, წეროვნის დევენილთა დასახლებაში, ახალგორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მთავარი ბუღალტერი იყო. რამდენიმე თვეა, მუშაობას თავი დაანება, რადგან ხელფასი მცირე იყო და პერსპექტივას ვერ ხედავდა.

„იმდენად ვიყავი ამ სამსახურს მიჯაჭვული, მეგონა, სხვა ვერაფრის გაკეთებას შევძლებდი. განსაკუთრებით ადამიანებს, ახალი ტექნოლოგიების შიში აქვთ. მეც მქონდა ეს შიში, რამაც სამსახურად ჩემს წინსვლას და განვითარებას ხელი შეუშალა. წლების წინ რომ თამაყად გადამედგა ნაბიჯი, ალბათ უფრო ბევრს მივაღწევდი. ყველაზე მთავარია, არ შეგვეშინდეს. თურმე, ყოველთვის შეიძლება მოიფიქრო ისეთი რამ რომ, არ იყო სხვაზე დამოკიდებული.

ლი. რაც მოგცემს შესაძლებლობას, დამოუკიდებელი და რეალიზებული გაგხადოს“, – ამბობს ხათუნა.

ამჟამად, ხათუნა გათენაშვილი ბალიშების განახლება-შეკვრვაზე მუშაობს. მისი იდეა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის პროექტის ერთ-ერთი გამარჯვებულია. პროექტი ივნისში დაფინანსდა და უკვე რამდენიმე თვეა საკუთარი მიზნის განხორციელებაზე მუშაობს. „მინდა გითხრათ, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის მიერ დაფინანსებული ჩემი იდეა, დიდი სტიმული აღმოჩნდა ჩემთვის. იმ ფაქტმა, რომ დასაქმებული ვარ, მომავლის იმედიც მომცა. საერთოდ, ეს პროექტი ბევრ ქალს დაეხმარა, რისთვისაც დიდ მადლობას ვეტყვი მათ. პირადად მე, მათ მიერ გაღებული თანხით, ბუმბულის გადასამუშავებელი მანქანა შევიძინე. მოგეხსენებათ ბუმბულის და მით უმეტეს ძველის

დამუშავება-გაახლება ადვილი არ არის“.

ბალიშების განახლებამდე იყო სამკერვალო სალონის იდეაც. „საკერავი მანქანა სულ მქონდა და შეიძლება ითქვას, რომ კერვა ახალგაზრდობიდან ჩემი ჰობია. ახლაც, მუშაობას რომ თავი დავანებე, ვიფიქრე სამკერვალო სალონის გახსნა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ისინი უკვე არსებობდა. შემდეგ, მე თვითონ მინდოდა სახლისთვის ბალიშების განახლება. სამსახურად, მსგავსი სანარმო ახლოს არსად არ იყო. მხოლოდ სოფელ მუხრანშია. ასე გაჩნდა ბალიშების განახლება-შეკვრვის იდეა და სიმართლე გითხრათ, მგონი არც შევცდი. როგორც ადგილობრივი, ისე მიმდებარე სოფლებიდან, კმაყოფილი მომხმარებელი ბევრი მყავს. ამ ეტაპზე, ერთადერთი პრობლემა ადგილზე მიტანის სერვისია. თუმცა, იმედი მაქვს, მომავალში ამ პრობლემასაც გადავჭრი“.

ხათუნა ახალგორის გახსენებას სოფელ ზემო ბოლიდან იწყებს, სადაც დაიბადა და რომელიც ქსნის გაღმა მდებარეობს. ამბობს რომ, ბოლო წუთამდე ახალგორში არაფრის პრობლემა არ ყოფილა. წამოსვლიდან კი, ზუსტად ერთ თვეში უკან მიბრუნდა. „შიში მქონდა, მაგრამ მაინც შევედი და რამდენიმე დღე დავრჩი. ადგილობრივად, ცვლილებები უკვე შესამჩნევი იყო. სამსახურშიც კი, უცხო ხალხი დამხვდა. მხოლოდ ჩვენს სახლებში შევედით და ნაცნობები ვნახეთ. მამაჩემი და ჩემი დედამთილი დარჩნენ. წლების განმავლობაში ისევ იქ ცხოვრობდნენ. არ ქონიათ პრობლემები. საბედნიეროდ, ადამიანებს შორის ურთიერთობა არ დაძაბულა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს გარშემო სულ ოსი ეროვნების ხალხი ცხოვრობდა. ჩვენი სახლი, დღემდე მათ აქვთ ჩაბარებული. კი, აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, მაგრამ უთანხმოება და კონფლიქტი არასდროს გვქონია“.

ხათუნა ახალგორში დაბრუნების იმედს არ კარგავს, თუმცა თვლის რომ, ეს მალე არ მოხდება. მისთვის ყველაზე დიდი ტკივილი ახალგორში დარჩენილი შვილის საფლავია...

ხატია მელთაუარი: ჩემი გეგმები მაინც ახალგორჯს უკავშირდება...



2008 წლის 8 აგვისტოს, ხატია მელთაური ზღვაზე წავიდა დასასვენებლად. ქალაქი გორი რომ გაიარა, მაშინ გაიგო, რომ ომი დაიწყო. უკან დაბრუნებულს, ახალგორში უკვე შეიარაღებული სამხედროები დახვდნენ. აღმოჩნდა რომ, სახლი აღარ აქვთ და ღია ცის ქვეშ დარჩნენ. „ჩვენ ისეთ გარემოში და შერეულ (ქართულ-ოსურ) საზოგადოებაში ვიზრდებით, ომი კი არა, პატარა უთანხმოებაც ვერ წარმოგვედგინა. თავიდან, ხან ერთ ნათესავთან ვიყავით, ხან მეორესთან. მერე ვიფიქრეთ, ასე სიარული აღარ შეიძლებოდა. ომიც შეწყდა. თითქოს ცოტა დამშვიდდა სიტუაცია და გადავწყვიტეთ, ახალგორში დაბრუნება. იმ წელს, სკოლაშიც იქ მივედით. მაგრამ, ერთ დღეს სკოლის დარაჯმა ეზოში ხელყუმბარა იპოვა და ხელში აუფეთქდა. ამის შემდეგ, გადავწყვიტეთ წამოსვლა, რადგან იქ უსაფრთხო გარემო არ იყო. ჯერ კახეთში მამიდასთან ვიყავით, მერე წეროვანში დავსახლდით“.

ხატია მელთაური მაშინ, 14 წლის იყო. მას შემდეგ, კიდევ 14 წელი გავიდა, მაგრამ არ შეცვლილა წეროვნის პირველად ნახვის ემოცია. „შეიძლება ცუდ დღეს მოვედი (იციანის), მაგრამ მახსოვს, ზამთარი იყო და ძალიან დიდი, ნებოვანი ტალახი. ყველა სახლი ერთნაირი. ძალიან ცუდი შეგრძნება მქონდა. სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, ეს რა გრძნობა იყო. რას შეიძლება გრძნობდეს 15 წლის ბავშვი, რომელსაც სახლი არ აქვს და მუდმივად ახსენდება შეიარაღებული სამხედროები, ტანკები, ავტომატები, ბომბები, რომლებიც ცხოვრებაში პირველად ნახა. სკოლაშიც ხან სად მივედით, ხან სად. პირველი წელი ძალიან დათრგუნული იყო. სულ პროტესტის გრძნობა მქონდა და ჩემთვის ვიმეორებდი: „აქ რა მინდა, რატომ წამოვედით...“ მაქსიმალურად ვეცადე, ეს პერიოდი ჩემი ცხოვრებიდან და მეხსიერებიდან ამომეშალა“. შედარებით მშვიდი დღეები იყო მაშინ, როდესაც წეროვნის დევნილთა დასახლებაში სკოლა აშენდა და გაიხსნა. კლასელები და მეგობრები ახალგორიდან, ისევ ერთად აღმოჩნდნენ. გარემო, ცოტა ნაცნობი და ახლობელი გახდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ხატია მელთაურმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტზე ჩააბარა, მაგრამ არ დაუმთავრებია. ერასმუსის პროგრამით, პოლონეთში სასწავლებლად წავიდა.

„სამი წელი ვიყავი პოლონეთში. რომ ჩამოვედი, მივხვდი რომ აქ ცხოვრება მინდოდა. ჩემს ოჯახს და თუნდაც, წეროვანის გარემოს, სწორედ აქ ვჭირდებოდი. დავინწყე სამუშაოს ძებნა მაგრამ, ქართულმა შრომის ბაზარმა, დიდად არ მიმიზიდა. წეროვანში არსებულ მდგომარეობას რომ გადავხედე, მივხვდი რომ, აქ თითქმის არაფერი არ იყო. მხოლოდ სურსათის

მაღაზიები ხომ არ არის საჭირო, განვითარებისთვის და არსებობისთვის. ვიფიქრე, არ შეიძლება ადამიანმა, ყველაფერზე თბილისში ირბინო. უნივერსიტეტში სწავლის დროს, მეც მჭირდებოდა რალაცეების ბეჭედა და გამოცდილი მქონდა ეს მდგომარეობა. ამიტომ, სახლისთვის შევიძინე პრინტერი. ფანჯარაზე გავაკარი წარწერა - ქსეროქსი. ხალხი ნელ-ნელა მოდიოდა და მივხვდი რომ, ამ საქმის გაგრძელება არა მხოლოდ შეიძლებოდა, საჭიროც იყო“.

2017 წლიდან აქტიურად დაიწყო მუშაობა. თავიდან, საბუთის ფოტოებს, მისალოც ბარათებს აკეთებდა. პირველი გრანტი „ანარმოე საქართველოში“ პროექტიდან მიიღო. რამაც შესაძლებლობა მისცა, მომსახურეობის ხარისხი გაეუმჯობესებინა. მომხმარებელიც უფრო მეტი ყავდა. მაგრამ ჯერ ისევ, სახლის ერთ ოთახში მუშაობდა. საქმიანობამ თავადაც გაიტაცა და, სურვილი გაუჩნდა უფრო მეტი რამ შეეთავაზებინა მომხმარებლისთვის.

„ბევრი რამის მოთხოვნა იყო უკვე ხალხისგან. მაგალითად, ჭიქაზე, მაისურზე ბეჭედვა. ამიტომ, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის პროექტისთვის დავწერე ჩემი ბიზნეს გეგმა და მივიღე მონაწილეობა. პირველი გრანტი შარშან ავიღე, წელს კიდევ მეორე. შევიძინე საჭირო დანადგარები და მომსახურეობის სფეროს, დავამატე სუბლიმაციური ბეჭედვა. შევიძინე ახალი კომპიუტერი, რომელიც მაძლევს შესაძლებლობას უფრო ხარისხიანად ვიმუშაო. ავაშენე ფართი და ოფიციალურად გავხსენი „პრინტ ჰაუსი“. უკვე მეც მინდოდა რომ, ამ ყველაფერს სამსახურის სახე ჰქონოდა. სახლში არაკომფორტული გახდა ამდენი ხალხის მოსვლა. ახლა რომ ვაკვირდები, მომხმარებელი აქ უფრო მეტია. ალბათ, მათაც ერიდებოდათ სახლში მოსვლა. გარდა ამისა, ინტერნეტით ვაკეთებ რეკლამებს და სხვა ქალაქებიდანაც მაქვს შეკვეთები. მადლობას ვეტყვი მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ ჰაბს, რადგან ძალიან დამეხმარა მათი გრანტი. საკუთარი დანახოვით ამდენს, კიდევ დიდხანს ვერ გავაკეთებდი. მათი პროექტი ძალიან კარგი შესაძლებლობაა, დევნილი და ომით დაზარალებული ქალებისთვის“.

„წეროვანში რომ მოვედით, ყველას ეგონა რომ აქ ყოფნა დროებითი იყო. ერთი გაზაფხული და მერე წავიდოდით. ამიტომ, პირველ რამდენიმე წელს არავინ არაფერს არ აკეთებდა. უცვლელი იყო ყველაფერი. სამწუხაროდ, მერე ნელ-ნელა მივხვდით რომ, შეიძლება მთელი ცხოვრება აქ მოგვინოს ცხოვრება. დავინწყეთ რალაცეების გაკეთება და შეცვლა. მას შემდეგ, ძალიან შეიცვალა წეროვანი. თუ თავიდან არავის არ უნდოდა აქ ყოფნა, ახლა ყველასთვის სასურველი ადგილია. თითქოს სტაბიულობის გრძნობაც გაჩნდა რომ, ამ კოტეჯს მაინც არავინ წავგართმევს. მაგრამ მე აქ მაინც, სტუმრად ვთვლი თავს. ძალიან მინდა, დავბრუნდე და ახალგორში საკუთარი ტურისტული კომპანია გავაკეთო. ყაზბეგში ვმუშაობდი ტურისტებთან და სულ სინანულის გრძნობა მაქვს, რატომ არ შემიძლია ამ მიმართულებით ვიმუშაო ახალგორში. გული მწყდება. ყველაზე კარგად მაშინ ვიქნები, თუ ამის გაკეთებას შევძლებ“.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბის დაკვეთით, წერილები მოამზადა მზევინარ ხუციშვილმა.

ზინაიდა ზაქაროშვილი



კიდევ ერთი ღვანლ-მოსილი, საზოგადოების ღირსეული წევრი გამოაკლდა ჩვენს რიგებს. ქალბატონ ზინა ზაქაროშვილს ტკივილიანი ბავშობა ჰქონდა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბარებდა, მაგრამ 1 ქულა დააკლდა და ვერ ჩაირიცხა. სწორედ იმ წელს მისი მშობლები განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო 5 შვილთან ერთად გადაასახლეს ყაზახეთის უდაბნოში. ეს რეპრესიები მძიმედ აისახა მათ ცხოვრებაში. როგორც ქალბატონი ზინა იგონებდა, 45 გრადუსიან სიცხეში მთელი ოჯახი (არასრულწლო-

<p>ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებით იუნყება</p> <p>ზინა ზაქაროშვილის</p> <p>გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.</p>
<p>ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებით იუნყება კულტურის ღვანლმოსილი მუშაკის</p> <p>ჟუჟუნა მჭედლიძის</p> <p>გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.</p>
<p>ახალგორის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა იუნყება ყოფილი თანამშრომლის, ღვანლმოსილი ბიბლიოთეკარის</p> <p>ჟუჟუნა მჭედლიძე-დურგლიშვილის</p> <p>გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.</p>

ომი და ქალბი

მე-7 ბპერდიან

„ზა ჩტო ბაბუშკა“?

– ეს იმიტომ შვილო, რომ არავის ესროლო! დარცხვენილმა ჯარისკაცმა წინდები გამოართვა, თავი დახარა და ანიკო ბებოს ოთახი სწრაფად დატოვა.

– ღმერთო, ყველას უშველე, ყველა დედას უცოცხლე შვილი, ჩვენც და ამ ჯარისკაცის დედასაც... – დიდ სამებისაკენ შეჰყარა მუდარით სავსე თვალებით, ზემოთ აწეული ხელები ანიკო ბებომ.

ვერ უშველა დიდი სამების ძალამ და მოხუცის ლოცვამ ვერც ლილი შერმადინს, ვერც ლეილა პავლიაშვილს. ნუგზარ გვრიტიშვილი აფხაზეთის ომში დაეცა გმირულად, ლევან მიდელაშვილი კი 2008 წლის აგვისტოს ომმა შეინირა. ორივე დედას შვილები ცხრამეტი წლისანი საფლავში გაუხდათ.

– ვერ დაადგმევინეს ფეხი, ვერ გაათელინეს ქართული დროშა ჩემს აჩიკოს, – ტკივილნარევი სიამაყით ამბობს დედამისი, ქალბატონი რუსუდან ბაღდოშვილი. ყანჩავეთის კაბენმა და სრულიად საქართველომ იგლოვა ცხინვალში წამებით, გმირულად დაღუპული აჩიკო ტატუნაშვილი.

სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული შვილების მოსაგონარი სულიდა დარჩენიათ. გაუგონარი სისასტიკით დაჩეხილი, შვილის გვამები არ შორდებათ მეხსიერებიდან, მხოლოდ ასეთები ახსოვთ. ერთი საყვედური არ დაცდენიათ შვილების გამო, არავის გამო, სიკვდილის გამოც კი. დედები უხმოდ ტირიან, რადგან სამშობლოსათვის სიკვდილს ტირილი არ უხდება.

რაიონი ორად გაიყო: სოფელ მოსაბრუნთან „რაზდახანთან“ სიკვდილ-სიცოცხლე, სიძულვილი და სიყვარული, სიხარული და მწუხარება შეყროდა ერთმანეთს. აქეთა და იქეთა გამშვებ პუნქტთან ქართველთა რამოდენიმეჯერ გადათვლა. პატარა სამგზავრო ავტომობილის უთვალავჯერ შემოწმება. ავტომატიანების და-

ნახვაზე ფეხზე უნებლიეთ, შიშით წამომხტარი ხალხი. მალლა აწეული ხელებით. ჯარისკაცს ერთ-ერთი გადათვლისას სიცილი აუტყდა. მგზავრებმა ერთმანეთი შეათვლიერეს, ერთ-ერთ ქალს შიშისაგან ტყუალეტის ქალაღიანი ორივე ხელი აენია მალლა.

იყო შიშიც, ელდაც და ხანდახან ტკივილნარევი ხარხარი.

– თქვენი საბუთები! ეუბნება „მესაზღვრე“ მგზავრს. ქალი დაიბნა და დენის გადახდის ქვითარი მიანოდა სწრაფად.

- რა არის ეს?
- ღვთისცეცხლი თქვენ!
- რას ბრძანებთ, ქალბატონო? ჩვენ ქართული ვიცით. კარგად გვამზადებდნენ ქართულში სამი წელი.
- სჯობდა თვლა გესწავლათ, შვილო, თვლა. ასე ცხვრებივით აღმა-დაღმა რომ გვთვლით ამ გასაცოდავებულ ხალხს...

ომი და ქალების თემა რაიონშიც და ყველა სოფელში ერთნაირი იყო. თითქოს ეცოდებოდათ ის ახალგაზრდა მეომარი ბიჭები. ყოველთვის მოიაზრებდნენ, მათზე მომლოდინედ ქცეულ დედებს და ცდილობდნენ თავიანთი დედაშვილური დამოკიდებულებებით დაევიწყებინათ სად იყვნენ და რისთვის. ჩვეული სტუმართმოყვარეობით, უშურველად სთავაზობდნენ ყველაფერს, რაც კი ებადათ სახლში.

საზღვრის აქეთ, ვაშლი, კაკალი, ჩირი, ბოსტნეული, ცრემლებით დანამული ჩურჩხელები, ხელით, რუდუნებით ნაქსოვები შვილებისათვის და ჯერ კიდევ უნახავი შვილიშვილებისათვის. შორიდან მომზირალი ცრემლებისაგან დამშრალი და დაშრეტილი თვალები. აქეთ გამოწვდილი ულონო და მერე უიმედოდ ჩამოყრილი მხრები.

და მაინც! იქეთ დარჩენილნი ჩაბეტონდნენ, მართლა რკინის ბოძებად იქცნენ. იქედან გვამაგრებენ აქეთურ შინაურებსაც და სრულიად საქართველოსაც.

10 ოქტომბერი, 2022 წელი

ვანი ბავშვებიანად) მუშაობდნენ ბამბის პლანტაციებში. 1953 წლის მაისში რეპრესირებულ ოჯახს რეაბილიტაცია შეეხო, გამართლდნენ და ახალგორში დაინყეს ცხოვრება... ზინამ მუშაობა დაიწყო მაშინდელ ახლად დაარსებულ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. აქ მან 48 წელიწადი იმუშავა, მას ყველა პატივს სცემდა თავისი შრომისმოყვარეობის, საქმის ცოდნისა და ერთგულების გამო.

ქალბატონ ზინას არცერთი დღე არ გაუტარებია უსაქმოდ. ოჯახი შექმნა, სახლის მშენებლობა წამოიწყო, თუმცა გული სწყდებოდა მუდამ, რომ ვერ ისწავლა საოცნებო უნივერსიტეტში, თუმცა დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმი. კარგი შვილები გაზარდა, საზოგადოებას ამშვენებდა მუდამ თავისი კეთილი, მშვიდი, განონასწორებული ხასიათით.

სიცოცხლის ბოლო წლებში ერთი ნატვრა ჰქონდა: დაბრუნებულიყო ახალგორში შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად...

ზინაიდა ზაქაროშვილის ხსოვნა მარადიულია მის მონაგარსა და ახლობლებში, კოლეგებში, ვისთანაც მას უმუშავია, ვინც იცნობდა...

შუშუნა მჭედლიძე

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის მანძილზე სიკეთეს, გულის სითბოს უნანილებენ გარშემომყოფთ, ამასთან, საყვარელი პროფესიის და საქმის ერთგულებით საზოგადოების ღირსეული წევრებიც არიან და გარშემომყოფთა შორისაც პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობენ. ასეთი იყო ქალბატონი შუშუნა მჭედლიძე. ის ქალაქ ცხინვალისა იყო.



განანილებით ჩამოვიდა სამუშაოდ ახალგორში და აქვე შექმნილ ულამაზეს ოჯახში სამი კარგი შვილი გაზარდა ასევე საზოგადოებისათვის საყვარელ და ღირსეულ წევრთან ედუარდ დურგლიშვილთან ერთად. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ქალბატონი შუშუნა ათეული წლები მუშაობდა რაიონული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად. მისი მუშაობის მთავარი პრინციპი იყო წიგნიერების ამაღლება, ლიტერატურული ღონისძიებებისა და შეხვედრების პროფესიონალურ დონეზე აღნიშვნა, წიგნთან სათნო, მიზანმიმართული დამოკიდებულება.

ახალგორელებს იგი დაამახსოვრებდათ, როგორც ყველას მიმართ კეთილგანწყობილი, სათნო, კეთილშობილი ქალბატონი, რომელსაც არასდროს უცხოვრია მხოლოდ საკუთარი ცხოვრებით.

ღვანულმოსილი ქალბატონის შუშუნა მჭედლიძის ხსოვნა მარადიულია, როგორც გამორჩეულად კარგი კულტურის მუშაკის, კარგი შვილების – ზვიად, ნელი, ნანა დურგლიშვილების აღმზრდელი დედის, სათნო, გულისხმიერი, მშრომელი, სიკეთით სავსე ქალბატონის...

ემზარ იმნაძე

ემზარ, ჩვენო ემზარ! სად და რატომ წავიდა შენი ნათელი, კეთილი, უბოროტო სული?... იმის გაცნობიერება, რომ აღარ ხარ ჩვენ შორის, საშინელ ტკივილს გვაყენებს... თუ აქამდე შენი სახელის ხსენება დადებით ემოციებს ინვევდა ჩვენში, ახლა ცრემლები მოსდის ყველას, უკლებლივ ყველას, ვინც გიცნობდა...



სად გეტეოდა ამდენი სიყვარული, სად ინყებოდა და მთავრდებოდა შენი სიკეთის ნიჭი? – ამას ველარასდროს გავიგებთ, რადგან დაუსრულებელი დარჩა ეს ყველაფერი, შეწყდა შენს სიცოცხლესთან ერთად... ალბათ...

ბოლო რამდენიმე წელი ჯანმრთელობამ გიმტყუენა, მაგრამ არასდროს დაგიკარგია თანადგომის, დახმარების, სხვების გაბედნიერების უნარი... შენი ასეთი მხნეობაც გადამდები იყო, გვეგონა, ვერაფერი მოგეროდა... მით უმეტეს, რომ ტკივილსაც კი იუმორით უმკლავდებოდი, შეგეძლო თუ არ შეგეძლო... შენს სიასლოვეს ტრიალი გვიყვარდა ყველას, რადგან შენთან იყო მხიარულება და სიყვარულით სავსე გული...

უცხოეთში სამკურნალოდ წასვლას დიდი იმედით უყურებდი. აგიხდა ეს ოცნება, ცოტა მომჯობინდი კიდევ, მაგრამ სიკვდილმა იქიდან დაგარტყა, საიდანაც არავინ ელოდა – გიმტყუნა მაგ მოსიყვარულე გულმა...

ჩვენო ძვირფასო! შენ დაგკარგა არა მხოლოდ შენმა ოჯახმა, რომლის მწუხარებაც უსაზღვრო და განუზომელია, არამედ ყველამ, ვინც გიცნობდა, ვინც ერთხელ მაინც გაიცინა შენს მოსწრებულ სიტყვაზე, ვინც იცოდა, რა დიდი გულის პატრონი იყავი... დაგკარგა შენმა იკოთმა, რომლის მიწაზე კიდევ ერთხელ ფეხის დადგმა დაგრჩა აუსრულებელ ოცნებად...

უფაღმა გამძლეობა მიანიჭოს შენს უზომოდ დამწუხრებულ ოჯახს, შენ კი სასუფეველი დაგიმკვიდროს იმიერ ქვეყანაში...

არასდროს დაგვაგინყდები...

ზიდაშვილები, დეიდაშვილები

თანაკლასელები ღრმა მწუხარებით იუნყებიან ემზარ იმნაძის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ოჯახის მეგობრები და მეზობლები წეროვნადან და იკოთიდან მწუხარებით უსამძიმრებენ ნელი, მერი, ნეკო და ზვიად იმნაძეებს ემზარ იმნაძის მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

ოქროსფერი შემოდგომის განილება ფრაზეთის ბაზა-ბაღში

